

**"ენერგოეფექტურობის
ცენტრის"
ყოველკვირეული
საინფორმაციო
ბიულეტენი**

N 46, 2023

სარჩევი

ნავთობი და გაზი	2
ყაზახეთი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ტრანსპორტირებისთვის პროგნოზირებულზე მეტ ნავთობს გაგზავნის	2
ევროკავშირმა შესაძლოა, რუსეთის მთლიანი საზღვაო ნავთობექსპორტის 60% დაბლოკოს	2
ელექტროენერგეტიკა	3
რატომ აღარ მოიხმარს საქართველო იმპორტირებულ ელექტროენერგიას?	3
შავი ზღვის კაბელი იქნება სამხრეთ კავკასიის კარიბჭე ევროპაში - მსოფლიო ბანკი	4
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა.....	6
ყაზახეთი, უზბეკეთი და აზერბაიჯანი ევროპაში მწვანე ენერჯის ექსპორტს იწყებენ.....	6
ამერიკაში აშენებენ ენერგოდამოუკიდებელ რაიონს, რომელიც არ იქნება დამოკიდებული კომუნალურ ქსელებზე.....	6
კლიმატის ცვლილება.....	7
კლიმატურმა ინჟინერიამ შეიძლება შეანელოს ანტარქტიდის ყინულის დნობა	7
ევროკავშირი იღებს ვალდებულებას, გამოყოს "სოლიდური" თანხები COP28 კლიმატის დაზიანების ფონდისთვის	7
ღონისძიებები	8

ნავთობი და გაზი

ყაზახეთი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ტრანსპორტირებისთვის პროგნოზირებულზე მეტ ნავთობს გაგზავნის

სააქციო საზოგადოება, „ყაზტრანსოილი“, რომელიც ყაზახეთის როგორც შიდა ბაზარზე, ასევე, სატრანზიტო და საექსპორტო მიზნებისთვის ნავთობის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს, ბაქოს საერთაშორისო საზღვაო სავაჭრო პორტში 1,4 მლნ ტონა ნავთობის გაგზავნას გეგმავს. ამის შესახებ „ყაზტრანსოილის“ წყარომ ექსკლუზიურად სააგენტო Trend-ს განუცხადა.

„კომპანია ამ წლის ბოლომდე აქტაუს პორტიდან ბაქოს პორტში 1,4 მლნ ტონა ნავთობის გადაზიდვას გეგმავს,“ - აცხადებს წყარო.

ეს იმაზე მეტი მოცულობაა, რასაც ახლახან აზერბაიჯანის ენერჯეტიკის მინისტრი, ფარვიზ შაჰბაზოვი ასახელებდა. მისი პროგნოზით, 2023 წლის ბოლომდე ყაზახეთიდან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (ბთჯ) მილსადენით ნავთობმიწოდება 1,125 მლნ ტონას მიაღწევს. მართალია, მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმება წელს 1,5 მლნ ტონა ნავთობის ტრანსპორტირებას ითვალისწინებს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მიწოდება აპრილში დაიწყო, მინისტრი წლის ბოლომდე ბთჯ-ის მილსადენით 1,125 მლნ ტონაზე მეტი ნავთობის ტრანსპორტირებას არ მოელოდა.

აზერბაიჯანი ყოველთვის ყაზახური ნავთობით 12-დან 14-მდე ტანკერს იღებს.

აღსანიშნავია, რომ „ყაზტრანსოილმა“ ამა წლის პირველ რვა თვეში ბაქოს პორტში ექსპორტირებული ყაზახური ნავთობის მოცულობა 12-ჯერ გაზარდა. კერძოდ, აქტაუს პორტიდან ყაზახური ნავთობის ექსპორტის მოცულობამ მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში 2,164 მლნ ტონა შეადგინა, რაც, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 759 ათასი ტონით, ანუ 54%-ით მეტია. აქედან 520 ათასი ტონა „თენგიზის“, 252 ათასი ტონა „დუნგას“, 1,385 მლნ ტონა ბუზაჩის ნახევარკუნძულის, ხოლო 7 ათასი ტონა „კაშაგანის“ საბადოებიდანაა.

წყაროს თქმით, „ყაზტრანსოილი“ წელს ტრანსპორტირებული ნავთობის მთლიან მოცულობასაც გაზარდის, რომელიც 41,6 მლნ ტონას მიაღწევს. წყარო, ასევე, შენიშნავს, რომ 2024 წლისთვის ნავთობის ტრანსპორტირების მოცულობა კომპანიას ჯერ არ დაუგეგმავს. 2022 წელს „ყაზტრანსოილის“ მაგისტრალური მილსადენების სისტემით ნავთობის ტრანსპორტირების მთლიანი მოცულობა 40,656 მლნ ტონას შეადგენდა, რაც, 2021 წელთან შედარებით, 568 ათასი ტონით ნაკლები იყო.

წყარო: bpn.ge - <https://cutt.ly/iwUoKjMB>

ევროკავშირმა შესაძლოა, რუსეთის მთლიანი საზღვაო ნავთობექსპორტის 60% დაბლოკოს

ევროკავშირი, სანქციების მე-12 პაკეტის ფარგლებში, დანიას დაავალებს, შეამოწმოს და პოტენციურად დაბლოკოს რუსული ნავთობის გადამზიდავი ტანკერები, რომლებიც მის წყლებში დასავლური დაზღვევის გარეშე დაცურავენ. ინფორმაციას Financial Times (FT) წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებს.

ინსპექტირება იმ კანონების შესაბამისად მოხდება, რომლებიც გარემოსთვის საფრთხის შემცველი გემების შემოწმების უფლებას იძლევა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მთლიანი საზღვაო ნავთობექსპორტის დაახლოებით 60% ბალტიის ზღვის გავლით ტრანსპორტირდება. ტანკერები საერთაშორისო ბაზრებისკენ მიმავალ გზაზე სწორედ დანიის ვიწრო სრუტეებს კვეთენ.

დასავლეთის ოფიციალურ პირებს შორის მყოფი FT-ის წყაროები აღიარებენ, რომ გასულ თვეში რუსული ნავთობის თითქმის არცერთი მოცულობა ბარელზე 60 დოლარზე დაბალ ფასად არ გაყიდულა, მაშინ, როცა G7-ის ფასის ლიმიტი გემების დასავლური მზღვევლებისგან ნავთობის მხოლოდ იმ გადაზიდვების დაფარვას მოითხოვს, რომლებიც ბარელზე 60 დოლარზე ნაკლებ ფასად იყიდება. FT-ის წყაროს ცნობით, რუსული ნავთობის გადამზიდავი ტანკერების სულ უფრო მეტი რაოდენობა გაყალბებული ფინანსური ანგარიშგების ან არადასავლური დაზღვევის გამოყენებაში არის ექვმიტანილი.

ამასთან, ევროკავშირი შეშფოთებულია, რომ არადასავლური სადაზღვევო პოლისები ნავთობის დაღვრის შემთხვევაში შესაძლოა ეფექტური არ იყოს. დანიის მიერ სათანადო დასავლური დაზღვევის მოთხოვნა იმიტომაც იქნება გამართლებული, რომ რუსული ნავთობი მეტწილად „ჩრდილოეთის ფლოტის“ ძველი გემებით გადაიზიდება, რომლებიც მწყობრიდან გამოსვლის ან ნავთობის დაღვრის დიდ რისკს შეიცავენ და რამაც შედეგად შესაძლოა, დიდი ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვიოს.

პრაქტიკაში ტანკერების შემოწმებასა და დაკავებას დანიის სამხედრო-საზღვაო უწყებები განახორციელებენ. თუმცა ჯერ გაურკვეველია, რას მოიმოქმედებს დანიის ხელისუფლება, თუ გემი გაჩერებაზე უარს იტყვის.

რუსეთის „ჩრდილოეთის ფლოტის“ წინააღმდეგ ევროკავშირის ზომები, სავარაუდოდ, სანქციების ახალ, მე-12 პაკეტში შევა, რომელიც მიმდინარე კვირას იქნება წარმოდგენილი. მის ფარგლებში, ასევე, დაგეგმილია შეზღუდვების დაწესება გადამზიდავი კომპანიების მიმართ, რომლებიც თავიანთ ძველ გემებს რუსული ნავთობის ტრანსპორტირებისთვის ყიდიან. სანქციები დაუწესდება იმ ქვეყნებსაც, რომლებიც ასეთ ტანკერებს თავიანთი დროშით ცურვის საშუალებას აძლევენ.

წყარო: bpn.ge - <https://cutt.ly/hwUoKSZh>

ელექტროენერგეტიკა

რატომ აღარ მოიხმარს საქართველო იმპორტირებულ ელექტროენერგიას?


თანამედროვე ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ელექტროენერგიაზე. ამასთან, ქვეყნები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტად იყვნენ დამოკიდებული ადგილობრივ ელექტროენერგიაზე, რადგან ენერგოდამოუკიდებლობა ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას ამაღლებს. გარდა უსაფრთხოებისა, ელექტროენერგიის გარანტირებული და მზარდი მიწოდება ტარიფების სტაბილურობას უწყობს ხელს. სტაბილური ტარიფები კი ხელსაყრელია როგორც ელექტროენერგიის საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის, ისე ბიზნესის საკეთებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ელექტროენერგიის ეფექტიანად მოხმარების ტექნოლოგიებიც ვითარდება, ელექტროენერგიაზე მოთხოვნა მაინც მზარდია. საქართველოში ენერგოეფექტიანობის პრობლემაც სერიოზულად დგას, მაგრამ ამ პრობლემის გადაჭრის შემთხვევაშიც კი, გრძელვადიან პერიოდში, ელექტროენერგიაზე მოთხოვნა მზარდი

იქნება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა ტენდენციებია ენერგეტიკის სექტორში.

2011-2022 წლებში საქართველოში ელექტროენერჯის შიდა გამომუშავება წლიურად საშუალოდ 3%-ით იზრდებოდა და მაქსიმალურ მაჩვენებელს, 14,247 მლნ კვტ-სთ-ს 2022 წელს მიაღწია. 2023 წლის იანვარ-აგვისტოში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერჯის მოცულობა 3%-ით გაიზარდა და 10,065 მლნ კვტ-სთ შეადგინა. ზრდა ძირითადად თბოელექტროსადგურებმა (თეს) განაპირობა, რომელთა გამომუშავებაც 14%-ით გაიზარდა. 0.6%-ით გაიზარდა ჰესების გამომუშავებაც, თუმცა ჯამურად გამომუშავებული ელექტროენერჯის 80% ჰესებზე მოდის.

საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერჯია, მლნ კვტ-სთ



საქართველოში ელექტროენერჯის მოხმარება 2011-2022 წლებში წლიურად საშუალოდ 5.5%-ით იზრდებოდა და მაქსიმალურ მაჩვენებელს, 14,181 მლნ კილოვატ-საათს 2022 წელს მიაღწია. 2023 წლის იანვარ-აგვისტოში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოში მოხმარებული ელექტროენერჯის მოცულობა 8%-ით შემცირდა და 8,891 მლნ კვტ-სთ შეადგინა...

წყარო : forbes.ge - <https://cutt.ly/rwUoK4Zb>

შავი ზღვის კაბელი იქნება სამხრეთ კავკასიის კარიბჭე ევროპაში - მსოფლიო ბანკი

შავი ზღვის კაბელი იქნება სამხრეთ კავკასიის კარიბჭე ევროპაში - ამის შესახებ მსოფლიო ბანკის ევროპისა და ცენტრალური აზიის ინფრასტრუქტურის რეგიონული დირექტორი ჩარლზ ჯეი კორმიერი აცხადებს.

მისი თქმით, საქართველოს მთავრობამ უნდა გააუმჯობესოს შავი ზღვის კაბელის კომერციული და სოციალური ჩარჩო, და ისე წარუდგინოს მსოფლიო ბანკს.

„შავი ზღვის კაბელი ძალიან საინტერესო იდეაა, იმ კუთხით, რომ ევროკავშირი ცდილობს დივერსიფიცირება მოახდინოს საკუთარი ენერჯის იმპორტის, ცდილობს, რომ

ჩამოშორდეს რუსულ ენერგეტიკულ ბაზარს და ეძებს ახალ წყაროებს. შავი ზღვის კაბელი იქნება სამხრეთ კავკასიის კარიბჭე ევროპაში. ის იქნება ერთ-ერთი ყველაზე გრძელი და ყველაზე ღრმად განთავსებული ზღვისქვეშა კაბელი. საქართველოს ექნება შესაძლებლობა განავითაროს უფრო მეტი ჰიდროენერჯია, აზერბაიჯანს კი - უფრო მეტი ქარის ენერჯიის განვითარების შესაძლებლობა, და მთლიანობაში, სამხრეთ კავკასიაში გაჩნდება პირობები ევროპისთვის ელექტროენერჯიის ექსპორტის ბაზრის შესაქმნელად. ეს სასარგებლო იქნება საქართველოსთვისაც, იმ კუთხით, რომ საქართველოს აქვს ძალიან მსხვილი ჰიდროენერგეტიკული ბაზა და იმ პერიოდში, როდესაც ქვეყანას არ აქვს საკმარისი გამომუშავება, მაგალითად, ზამთარში, შეუძლია ელექტროენერჯიის იმპორტიც განახორციელოს ევროპიდან. ეს დაასტაბილურებს და გააუმჯობესებს მიწოდების საიმედოობას საქართველოში.

ჩვენ ვთხოვთ საქართველოს მთავრობას, რომ გააუმჯობესოს შავი ზღვის კაბელის კომერციული და სოციალური ჩარჩო, რათა ჩვენს ტექნიკური დახმარების საბჭოს გრძელვადიანი, კარგი, ერთიანი გეგმა შესთავაზოს, რაზეც სამი ფისკალური წლის განმავლობაში ვიმუშავებთ და დავეხმარებით საქართველოს ამ მიზნის მიღწევაში“ - აცხადებს ჩარლზ ჯეი კორმიერი.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი განმარტავს, რომ ამ პროექტში მსხვილი ინვესტიციების საჭიროებაა და ეს მოცულობა მილიარდობით დოლარს უტოლდება. სწორედ ამიტომ, კომერციული ჩარჩოს გაუმჯობესება მდგომარეობს იმაში, კაბელის საშუალებით ელექტროენერჯიის ყიდვისა და გაყიდვის უტყუარი გზები შეიქმნას.

„უნდა დარწმუნდეთ, რომ იქნებიან ელექტროენერჯიის გამყიდველები და მყიდველები. ჩვენ უნდა შევხედოთ კომერციულ კონტრაქტებს, ვიდრე გრძელვადიანი კონტრაქტების დადების შესაძლებლობა გვექნება. უნდა ვნახოთ, თუ რა პირობებზე იქნებიან ელექტროენერჯიის მყიდველები და გამყიდველები თანახმა ეს კონტრაქტები გააფორმონ - ეს რაც შეეხება მოთხოვნას. თქვენ ასევე გჭირდებათ, რომ უზრუნველყოთ მიწოდებაც. ამ დროისთვის, მე არ მგონია, რომ საქართველოს ელექტროენერჯიაში დიდი ვაჭრობა აქვს. მას სჭირდება კიდევ უფრო განავითაროს თავისი გამომუშავების სიმძლავრეები, რათა ექსპორტის ბაზრის შექმნა შეძლოს. ეს კი ამ პროექტში რისკის სახეებია. ასევე, ჩვენ გვინდა დავრწმუნდეთ, რომ ამ ტიპის ინვესტიციები, რომელიც ზღვის ფსკერზე ხორციელდება, იმგვარად იქნება აგებული, რომ არ ექნება გავლენა ზღვის ეკოსისტემაზე და გარემოზე. ეს არის ის, რასაც ჩვენ შევაფასებთ შავი ზღვის კაბელის პოტენციალთან ერთად. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს არ არის მხოლოდ ელექტროგადამცემი კაბელი, ეს ასევე, მოიცავს ციფრულ კაბელსაც. ეს კი თანაბრად მნიშვნელოვანია - ჩვენ ვხედავთ უზარმაზარ მოთხოვნას ფართოზოლოვან ინტერნეტმოსახურებებზე, რომელიც შემდეგ 5 წელიწადში 30% იქნება. ამ დროისთვის ფართოზოლოვანი ინტერნეტის მხოლოდ ერთი წყაროა, როგორცაა International Gateway. ეს კი შექმნიდა მეორე წყაროს, უფრო მეტ კონკურენციას და იმედია, შეამცირებს ფასებსაც. ეს კი, კიდევ ერთი სარგებელია ამ ძალიან მნიშვნელოვანი კაბელის“ - აცხადებს ჩარლზ ჯეი კორმიერი.

წყარო: energynews.ge - <https://cutt.ly/BwUoLcJT>

განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

ყაზახეთი, უზბეკეთი და აზერბაიჯანი ევროპაში მწვანე ენერჯის ექსპორტს იწყებენ

ყაზახეთის ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და უზბეკეთი ევროპისთვის მწვანე ენერჯის მიწოდების დაწყებასა და ერთობლივი საწარმოს შექმნაზე შეთანხმდნენ.

შეთანხმებას მხარეებმა მიაღწიეს შეხვედრაზე, რომელზეც ცენტრალური აზიიდან ევროპაში ელექტროენერჯის ექსპორტი აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით განიხილებოდა.

„მხარეები შეთანხმდნენ, რომ შექმნიან ერთობლივ სამუშაო ჯგუფს, რომელიც იმუშავებს ენერჯის მიმოცვლაში თანამშრომლობის პირობების განსაზღვრაზე და განსაკუთრებულ აქცენტს გააკეთებს მწვანე წყალბადის, მწვანე ამიაკის წარმოებასა და ექსპორტზე, ასევე შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე“, – წერია განცხადებაში.

ენერჯეტიკის მინისტრების შემდეგი შეხვედრა ტაშკენტშია დანიშნული.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრისა და ენერგომატარებლების მიწოდების შეფერხების შემდეგ, ასევე 2050 წლისთვის კარბონნეიტრალიტეტის მიღწევის მიზნით, ევროპაში განახლებად ენერჯიას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ.

Ember-ის კვლევითი ცენტრის მონაცემებით, 2022 წელს ევროკავშირის ქვეყნებმა ელექტროენერჯის უმეტესი ნაწილი განახლებადი წყაროებისგან მიიღეს და არა გაზისგან, რაც ისტორიაში პირველად მოხდა.

კერძოდ, მზისა და ქარის ელექტროსადგურებით ელექტროენერჯის 22% გამოიმუშავდა, გაზის სადგურებით – 20%, ხოლო ქვანახშირის სადგურებით – 16%.

წყარო: forbes.ge - <https://cutt.ly/nwUoLSor>

ამერიკაში აშენებენ ენერგოდამოუკიდებელ რაიონს, რომელიც არ იქნება დამოკიდებული კომუნალურ ქსელებზე

ამერიკაში, ფლორიდაში, იწყება ახალი ენერგოდამოუკიდებელი მიკრორაიონის მშენებლობა, რომელიც შედგება 77 სახლისგან, სახურავებზე მზის პანელებით და ენერჯის შენახვის მოწყობილობებით, რომლებიც ერთმანეთთან იქნება დაკავშირებული, რათა შექმნან საზოგადოებრივი მიკროქსელი.

ახალი ზონის თითოეული სახლი აღჭურვილი იქნება 8 კვტ სიმძლავრის სახურავის მზის ელექტროსადგურით, ხოლო ორ-ორი სახლი დაკავშირებული იქნება 43 კვტ.სთ ტევადობის ბატარეით. ასევე იქნება ცენტრალური აკუმულატორის საცავი მთელი რაიონისთვის. მზის ენერჯისა და ენერჯის შენახვის მოწყობილობები ერთად ქმნიან მიკროქსელს, რომელიც, სავარაუდოდ, თვითკმარი იქნება.

Lakeland Electric, რომელიც აფინანსებს პროექტს, იქნება მზის და დამაგროვებელი ელექტროსადგურების მფლობელი-ოპერატორი და მიიღებს სარგებელს ქსელში დაბრუნებული ჭარბი ელექტროენერჯით.

მაიკლ დუმერმა, Lakeland Electric-ის ახალი ტექნოლოგიების მენეჯერმა, თქვა: „რადგან გენერაცია ხდება უშუალოდ მეზობლად, ჩვენ ნაკლებად მგრძობიარენი ვართ ელექტროენერჯის გათიშვის მიმართ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მომხმარებლები ნაკლებად იგრძობენ ელექტროენერჯის გათიშვას“.

წყარო: building-tech.org - <https://cutt.ly/xwUoL2SG>

კლიმატის ცვლილება

კლიმატურმა ინჟინერიამ შეიძლება შეანელოს ანტარქტიდის ყინულის დნობა

ატმოსფეროში მზის სინათლის ამრეკლავი ნაწილაკების გაფანტვამ შეიძლება შეანელოს დასავლეთ ანტარქტიდაში ყინულის სწრაფი დნობა და შეამციროს ზღვის დონის კატასტროფული აწევის რისკი, ნათქვამია ინდიანას უნივერსიტეტის მკვლევარების მიერ ჩატარებულ კვლევაში.

კვლევა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შეისწავლა, თუ როგორი გავლენა შეიძლება იქონიოს კლიმატურმა ინჟინერიამ ანტარქტიდაზე, ტარდება მას შემდეგ, რაც მეცნიერებმა გამოთქვეს შემოთქმა ამ საუკუნეში დასავლეთ ანტარქტიდაში ყინულის დაჩქარებული დნობის ზრდადი ალბათობის შესახებ. ნაშრომი გამოქვეყნებულია ჟურნალში Geophysical Research: Atmospheres.

„მაშინაც კი, თუ მსოფლიო დააკმაყოფილებს გლობალური დათბობის შეზღუდვის ამბიციურ მიზანს 1.5 გრადუსამდე ცელსიუსით, წინაინდუსტრიულ დონესთან შედარებით - რასაც ჩვენ ვერ ვაღწევთ - ჩვენ ვიხილავთ ზღვის დონის მნიშვნელოვან აწევას“, - თქვა პოლ გოდარმა. ასისტენტ-მკვლევარმა ინდიანას უნივერსიტეტის დედამიწისა და ატმოსფერული მეცნიერებების დეპარტამენტში და კვლევის წამყვანმა ავტორმა. „მზის შუქის არეკვლის გზების გამოკვლევა კოსმოსში, სანამ ის შთაინთქმება დედამიწის კლიმატური სისტემის მიერ, შეიძლება დაგვეხმაროს მეტი დრო მოვიგოთ კლიმატის ცვლილების პრობლემის მოსაგვარებლად და თავიდან ავიცილოთ ან გადავავადოთ კლიმატის გარდამტეხი მომენტები, როგორცაა დასავლეთ ანტარქტიდის ყინულოვანი საფარის კოლაფსი“.

წყარო: sciencedaily.com - <https://cutt.ly/RwUoZskV>

ევროკავშირი იღებს ვალდებულებას, გამოყოს "სოლიდური" თანხები COP28 კლიმატის დაზიანების ფონდისთვის

ევროკავშირი „არსებით“ ფინანსურ წვლილს შეიტანს ახალ საერთაშორისო ფონდში, რომელიც კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეულ ზიანს ეხება, განაცხადა ორშაბათს ევროკავშირის აღმასრულებელმა კომისიამ.

მსოფლიოში პირველი, კლიმატის „დანაკარგებისა და ზიანის“ ფონდი ამოქმედდება გაეროს COP28 კლიმატის სამიტის დროს, რომელიც 30 ნოემბრიდან 12 დეკემბრამდე დუბაიში, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში გაიმართება.

„კომისარი მზადაა გამოაცხადოს ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების მნიშვნელოვანი ფინანსური წვლილი COP28-ზე ზიანისა და ზარალის ფონდში COP28-ის ამბიციური შედეგის

კონტექსტში”, - ნათქვამია ევროკომისიის განცხადებაში, რომლის ავტორია ევროკავშირის კლიმატის კომისარი ვოპკე ჰოქსტრა.

ევროკავშირს არ დაუკონკრეტებია მის მიერ დაგეგმილი წვლილის ზომა.

ევროკავშირი ასევე გეგმავს COP28-ის დაფინანსების გამოყოფას, რათა დაეხმაროს ქვეყნებს 2030 წლისთვის განახლებადი ენერჯის წყაროების სიმძლავრის გასამმაგების გლობალური დაპირების შესრულებაში, განაცხადა კომისიამ.

გაეროს კლიმატის შარშანდელ მოლაპარაკებებზე ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ შეექმნათ კლიმატის ზიანის ფონდი, შეთანხმება, რომელიც აღიარებულ იქნა, როგორც გარდვევა, მოწყვლადი სახელმწიფოების მიერ, რომლებიც დიდი ხანია ითხოვდნენ დაფინანსებას მდიდარი ქვეყნებისგან, რომელთა ისტორიულმა CO2 ემისიებმა გამოიწვია კლიმატის ცვლილება.

წყარო: eceee.org - <https://cutt.ly/jwUoZUR7>

ღონისძიებები

[Behave 2023 - მე-7 ევროპული კონფერენცია ქცევისა და ენერჯეფექტურობის შესახებ](#)

თარიღი: 28–29 ნოემბერი, 2023

ორგანიზატორი: EuropeanEnergyNetwork (EnR)

ადგილი: მასტრიხტი, ნიდერლანდები

[Zero Carbon Industry 2024](#) - კონფერენცია ნულოვანი ნახშირბადის მრეწველობის შესახებ

თარიღი: 30–31 იანვარი, 2024

ორგანიზატორი: eceee

ადგილი: ანტვერპენი, ბელგია